ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 24
20/03/2019

24-08-4-201903201651

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 25 მარტს დღის 13 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ივლისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 272.30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.016.01.508) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლები ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019-2020 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ბერძენიშვილი

1.4. გარიგების დადების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

1.5. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2018 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა